

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1062

ქ. ბათუმი, 02 დეკემბერი 2016 წ

**ქ. ბათუმში, ვ. ფშაველას ქ. N25-ში მდებარე 20,45 კვ.მ.  
არასაცხოვრებელ ფართზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე**

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტექნიკური აღრიცხვის არქივის მონაცემებით ქ.ბათუმში, ვ. ფშაველას/ერას ქ. N25/17-ში მდებარე სახლმფლობელობის ნაწილი ირიცხება ქ.ბათუმის მერიაზე, ამ სახლმფლობელობაში, ლიტ „ა“-ს პირველ სართულზე არსებულ N10 ოთახზე (ფართი - 19,60 კვ.მ.) უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი სააღრიცხვო მასალებში წარმოდგენილი არ არის. მითითებული ოთახის დაზუსტებული შიდა აზომვითი ნახაზის შესაბამისად მისი ფართობი შეადგენს 20,45 კვ.მ-ს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 106-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი, შეძენილი ან რეგისტრირებული ქონება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ.ბათუმში, ვ.ფშაველას/ერას ქ.N25/17-ში მდებარე სახლმფლობელობაზე ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში არსებულ სააღრიცხვო ბარათში (საარქივო მასალა) აღრიცხული (დაცული) მონაცემების საფუძველზე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 106-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. განხორციელდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში ქ. ბათუმში, ვ. ფშაველას ქ.N25-ში მდებარე ლიტერ „ა“-ს პირველ სართულზე არსებულ 20,45 კვ.მ. არასაცხოვრებელ ფართზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.22.30.005).

2. ეთხოვოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს განახორციელოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში წინამდებარე ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ უძრავ ქონებაზე.

3. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით შესაბამის დოკუმენტაციაზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის ქონების მართვისა და განკარგვის განყოფილების მთავარ სპეციალისტს ხათუნა კობალაძეს (პირადი ნომერი 61001010495).

4. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი